

შპს ინფრა კონსტრაქშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება</i>	<i>გვერდი</i>
<i>კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</i>	3-4
<i>სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება</i>	5-6
<i>საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება</i>	7-8
<i>ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები</i>	9-29

შპს ინფრა კონსტრუქშენ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31-12-23	31-12-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,915,259	6,262,777
საინვესტიციო ქონება	5	50,000	50,000
არამატერიალური აქტივი	6	656,641	0
ინვესტიცია შვილობის საწარმოში	7	588,769	
		8,210,669	6,312,778
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	63,731	1,019,099
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	2,450,125	964,933
მარაგები	10	991,470	314,559
გადახდილი ავანსები	11	530	5,203
სხვა მიმდინარე აქტივები	12	54,270	185,032
		3,560,126	2,488,827
მთლიანი აქტივები		11,770,795	8,801,604
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	5,990,592	6,502,411
		5,990,592	6,502,411
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		700,473	957,759
		700,473	957,759
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	14	77,641	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	2,483,078	527,496
საგადასახადო ვალდებულებები	16	67,893	0
მიღებული ავანსები	17	1,590,952	142,244
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	18	860,166	671,694
		5,079,730	1,341,434
მთლიანი ვალდებულებები		5,780,203	2,299,193
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,770,794	8,801,604

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქციონ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31-12-23	31-12-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,915,259	6,262,777
საინვესტიციო ქონება	5	50,000	50,000
არამატერიალური აქტივი	6	656,641	0
ინვესტიცია შვილობის საწარმოში	7	588,769	
		8,210,669	6,312,778
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	63,731	1,019,099
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	2,450,125	964,933
მარაგები	10	991,470	314,559
გადახდილი ავანსები	11	530	5,203
სხვა მიმდინარე აქტივები	12	54,270	185,032
		3,560,126	2,488,827
მთლიანი აქტივები		11,770,795	8,801,604
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	5,990,592	6,502,411
		5,990,592	6,502,411
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		700,473	957,759
		700,473	957,759
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	14	77,641	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	2,483,078	527,496
საგადასახადო ვალდებულებები	16	67,893	0
მიღებული ავანსები	17	1,590,952	142,244
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	18	860,166	671,694
		5,079,730	1,341,434
მთლიანი ვალდებულებები		5,780,203	2,299,193
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,770,794	8,801,604

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



შპს ინფრა კონსტრუქშენ

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023

წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31-12-23	31-12-22
ამონაგები	19	3,548,908	3,764,006
თვითღირებულება	20	(4,219,057)	(2,625,456)
საერთო მოგება		(670,149)	1,138,550
სხვა შემოსავალი	21	227,923	1,120,305
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(84,010)	(47,874)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდა	22	115,256	28,842
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	23	(11,964)	110,445
სხვა ხარჯები	24	(4,958)	(522)
საოპერაციო მოგება		(427,903)	2,349,746
ფინანსური შემოსავალი		49,880	52,238
ფინანსური ხარჯი		(125,127)	(81,754)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	25	(75,248)	(29,516)
მოგება დაბეგვრამდე	26	(503,150)	2,320,230
მოგების გადასახადი	27	(2,360)	(187,330)
პერიოდის მოგება		(505,511)	2,132,900
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(505,511)	2,132,900

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქციონ

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023

წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31-12-23	31-12-22
ანონაგები	19	3,548,908	3,764,006
თვითღირებულება	20	(4,219,057)	(2,625,456)
საერთო მოგება		(670,149)	1,138,550
სხვა შემოსავალი	21	227,923	1,120,305
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(84,010)	(47,874)
პირითადი საშუალების გასვლიდან			
მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდა	22	115,256	28,842
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	23	(11,964)	110,445
სხვა ხარჯები	24	(4,958)	(522)
საოპერაციო მოგება		(427,903)	2,349,746
ფინანსური შემოსავალი		49,880	52,238
ფინანსური ხარჯი		(125,127)	(81,754)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	25	(75,248)	(29,516)
მოგება დაბეგვრამდე	26	(503,150)	2,320,230
მოგების გადასახადი	27	(2,360)	(187,330)
პერიოდის მოგება		(505,511)	2,132,900
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების		-	-
გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(505,511)	2,132,900

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



შპს ინფრა კონსტრაქშენ

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	6,502,411	6,502,411
მოგება წლის ბოლოს			(505,511)	(505,511)
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(505,511)	(505,511)
გაცემული დივიდენდი			(6,316)	(6,316)
გასული წლის კორექტირება			6	6
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	5,990,592	5,990,592

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	6,502,411	6,502,411
მოგება წლის ბოლოს			(505,511)	(505,511)
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(505,511)	(505,511)
გაცემული დივიდენდი			(6,316)	(6,316)
გასული წლის კორექტირება			6	6
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	5,990,592	5,990,592

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი: აკაკი ჯიჭია



1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის მფლობელი კომპანია ინფრა კონსტრაქშენი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ო. ონიაშვილის ქ., N5. „ჯგუფის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა, ხოლო დამხმარე საქმიანობა გახლავთ მსუბუქი და მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2011 წლის 2 ივნისი

კომპანიის დირექტორი: აკაკი ჯიქია

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 02/06/2011 – 11/04/2019 პერიოდში:

აკაკი ჯიქია - 100%;

- 12/04/2019 - 16/06/2020 პერიოდში:

აკაკი ჯიქია - 50%

ზურაბ ჯიქია - 50%

კომპანიის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და ისინი დაფუძნებული და რეგისტრირებულნი არიან საქართველოში.

შვილობილ კომპანიებში კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა:

შპს ინფრა-კონსტრაქშენ თი-ქეი გრუპი - 100%

შპს გილი - 100%

შპს ინფრა კონსტრაქშენმა შპს ინფრა-კონსტრაქშენ თი-ქეი გრუპის წილი შეიძინა შემდგომი ერთი წლის განმავლობაში გაყიდვის მიზნებისთვის. საანგარიშგებო თარიღისათვის შვილობილი საწარმოს მყიდველი მოძიებულია, რომლისგანაც წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულია ნასყიდობის თანხის ნაწილი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;

იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;

კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;

სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ინფორმაციაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
 - (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
 - (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

შპს ინფრა კონსტრაქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის. დივიდენდის გამოცხადების თარიღში ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის გადახდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

მობილური კონსტრუქციები	8 წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	6 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სპეც ტექნიკა	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზია ვადიანია და შესაბამისად მისი ამორტიზება ხდება ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული ვადის მიხედვით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია,

მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
კურსი 2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება მომდევნო თვის ოცდახუთ რიცხვამდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის

თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

შპს ინფრა კონსტრაქშენის მიერ 2022-2023 წელს შესრულებული და მიმდინარე პროექტები:

შპს ინფრა კონსტრაქშენს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ინფრა კონსტრაქშენ - თი-ქეი გრუპი“ (405391464) -თან ყოველთვიურად სპეც-ტექნიკის იჯარით გადაცემასა და მომსახურების შესახებ. ხელშეკრულების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 24 თვეს.

შპს ინფრა კონსტრაქშენს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ანაგი ინფრა კონსტრაქშენ“ (404631813) -თან ყოველთვიურად სპეც-ტექნიკის იჯარით გადაცემასა და მომსახურების შესახებ. ხელშეკრულების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 24 თვეს.

საწარმოს ძირითად აქტუვებს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების სახით წარმოდგენილი სპეციალური ტექნიკა და მანქანა დანადგარები. 2023 წლის საქმიანობის შედეგების ამსახველ ანგარიშგებაში ასახული ზარალი გამოწვეულია ზირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯით. საწარმოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით რეალიზებულ იქნა ტექნიკა-დანადგარები, რომლებიც ერთის მხრივ გაზრდილ საოპერაციო დანახარჯებს საჭიროებს და მეორეს მხრივ, მათზე, როგორც ტექნოლოგიურად მოძველებულ ტექნიკაზე არ არის მოთხოვნა ბაზარზე.

მიუხედავად ზემოტაღნიშნულისა, საწარმო არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მობილური კონსტრუქციები	შენობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და სპეც ტექნიკა	სულ
31 დეკემბერი 2022	0	97,185	385,973	252,295	193,387	7,761,941	8,690,782
შემოსვლა	687,417	-	153,048		35,516	1,115,228	1,991,210
გადაფასება							-
გასვლა		-	-	-	(2,895)	(1,105,476)	(1,108,371)
31 დეკემბერი 2023	687,417	97,185	539,021	252,295	226,009	7,771,692	9,573,621
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2022	0	(48,785)		(112,974)	(51,626)	(2,214,621)	(2,428,006)
პერიოდის ცვეთა		(6,600)	(19,723)	(27,135)	(30,257)	(694,186)	(777,900)
გაუფასურება		-	-	-	-	-	-
გასვლა		-	-	-	2,553	544,990	547,543
31 დეკემბერი 2023	0	(55,385)	(19,723)	(140,108)	(79,330)	(2,363,817)	(2,658,363)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	0	48,400	385,973	139,322	141,762	5,547,320	6,262,777
31 დეკემბერი 2023	687,417	41,800	519,299	112,187	146,680	5,407,875	6,915,259

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი
- 2021 წლის 18 მაისს შპს ინფრა კონსტრუქშენმა გამოისყიდა თიბისი ლიზინგისთან გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ სატრანსპორტო საშუალებები

5. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 3 ჰექტარი ფართობის სახნავი მიწა. საინვესტიციო ქონება წარდგენილია რეალური ღირებულებით.

6. არამატერიალური აქტივი

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს გუდვილი, რომელიც წარმოიშვა შპს გილის 100%-იანი წილის შეძენის მომენტში. აღრიცხულია თვითღირებულებით. საანგარიშგებო თარიღისათვის გაუფასურების ტესტი არ ჩატარებულა.

7. ინვესტიცია

საწარმომ 2023 წელს შეიძინა შპს ინფრა-კონსტრაქშენ თი-ქეი გრუპის 50%-იანი წილი. წილის შეძენის მიზანს წარმოადგენს შემდგომი ერთი წლის განმავლობაში გაყიდვა. შესაბამისად მშობელი საწარმოს მიერ არ განხორციელდა შვილობილი საწარმოს ფინანსური მონაცემების დაკონსოლიდირება. შვილობილი საწარმოს შეძენის ღირებულება წარმოდგენილია განხორციელებული ინვესტიციის სახით და აღრიცხულია რეალური ღირებულებით.

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2023	2022
63,731	1,019,099
63,731	1,019,099

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (წმინდა)

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსაურებიდან

2023	2022
2,450,125	964,933
2,450,125	964,933

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

10. მარაგები

სათადარიგო ნაწილები და სპეც აღწურვილობა

დაუმთავრებელი წარმოება

2023	2022
256,361	314,559
735,109	
991,470	314,559

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა.

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

11. გადახდილი ავანსები

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

2023	2022
530	5,203
530	5,203

12. სხვა მიმდინარე აქტივები

ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელი

ბიუჯეტის აღრიცხვა-ანგარიშგების ბარათზე არსებული
ზედმეტობა

წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

2023	2022
51,183	36,473
0	148,559
3,087	
54,270	185,032

13. გრძელვადიანი სესხები

2023	2022
700,473	957,759
700,473	957,759

შპს ინფრა კონსტრაქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებულია სს თიბისი ბანკთან 2022 წლის 4 აპრილი. (ხელშეკრულების ნომერი: 2186698 -11929937) ხელშეკრულების ფარგლებში სესხის ლიმიტის ოდენობა განისაზღვრა 400 000 აშშ დოლარით. სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გირავნობით არის დატვირთული კომპანიის მოძრავი ქონება

2. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებულია სს თიბისი ბანკთან 2022 წლის 23 დეკემბერს. (ხელშეკრულების ნომერი: 2186698-12349165) ხელშეკრულების ფარგლებში სესხის ლიმიტის ოდენობა განისაზღვრა 260 000 აშშ დოლარით. სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გირავნობით არის დატვირთული კომპანიის მოძრავი ქონება

3. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებულია სს თიბისი ბანკთან 2023 წლის 29 აპრილს. (ხელშეკრულების ნომერი: 2186698-12538546) ხელშეკრულების ფარგლებში სესხის ლიმიტის ოდენობა განისაზღვრა 305,000 აშშ დოლარით. სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გირავნობით არის დატვირთული კომპანიის მოძრავი ქონება

14. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

გადასახდელი ხელფასები

2023	2022
77,641	0
77,641	0

15. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი
მოკლევადიანი ვალდებულებები

2023	2022
2,483,078	527,496
2,483,078	527,496

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2023წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

16. საგადასახადო ვალდებულება

საშემოსავლო გადასახადი

ქონების გადასახადი

2023	2022
3,456	0
64,437	0
67,893	0

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები

2023	2022
1,590,952	142,244
1,590,952	142,244

მიღებულ ავანსებიდან 1,448,708 ლარი წარმოადგენს შპს ინფრა კონსტრუქშენ თი-ქეი გრუპში 100%-იანი წილის გაყიდვისთვის ავანსის სახით მიღებულ თანხას.

18. მოკლევადიანი ვალდებულება

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

2023	2022
860,166	671,694
860,166	671,694

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

19. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

მომსახურებიდან მიღებული ამონაგები

2023	2022
0	0
3,548,908	3,764,006
3,548,908	3,764,006

20. თვითღირებულება

პირდაპირი ხელფასი

ძირითადი მასალების დანახარჯები

მიღებული მომსახურება

საწვავი

იჯარა

ცვეთა

სხვა პირდაპირი ხარჯი

2023	2022
1,017,033	667,242
2,063,647	647,225
173,690	178,419
75,215	109,662
17,103	86,875
746,605	600,042
125,764	335,991
4,219,057	2,625,456

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

21. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი

მიღებული დივიდენდები

დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული
ზარალი და სხვა შემოსავალი

2023	2022
2,778	0
200,000	1,100,000
25,145	20,305
227,923	1,120,305

22. ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული

შემოსულობა/ზარალი - წმინდა

ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული
შემოსულობა/ზარალი

2023	2022
115,256	28,842
115,256	28,842

23. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

2023	2022
1,960,581	2,425,632
(1,972,545)	(2,315,187)
(11,964)	110,445

24. სხვა ხარჯები

ჯარიმები და სხვა ხარჯი

2023	2022
(4,958)	(522)
(4,958)	(522)

25. ფინანსური დანახარჯები (წმინდა)

გრძელვადიანი სესხის პროცენტი

საბანკო ანგარიშზე დადებით ნაშთზე დარიცხული პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი

2023	2022
(125,127)	(81,754)
49,880	52,238
(75,248)	(29,516)

26. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

სხვა ხარჯი

ფინანსური ხარჯი

2023	2022
(4,219,057)	(2,625,456)
(84,010)	(47,874)
0	0
(11,964)	
(4,958)	(522)
(75,248)	(29,516)
(4,395,237)	(2,703,368)

27. მოგების გადასახადი

გაცემულ დივიდენდზე გადახდილი მოგების გადასახადი

2023	2022
(2,360)	(187,330)
(2,360)	(187,330)

28. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ პუნქტებში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის პროცესები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება მათ გასაზომად. შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრისთვის და მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ შექმნას და აამუშავოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას კომპანიის ფინანსურ მართვაში.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანი არის ისეთი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც შეამცირებს რისკებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დეტალები ამ პოლიტიკასთან მიმართებაში დადგენილია ქვემოთ. კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს.

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთების რისკი;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლიდანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია;

ფინანსური აქტივები:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები - 63,731 ლარი

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (წმინდა) – 2,450,125 ლარი

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი სახსრების მართვით. ეს არის რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დადგება მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მუშაობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ნაღდი ფულის ქონას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის.

საჭიროების შემთხვევაში კომპანიის დამატებითი დაფინანსების წყარო არის სააქციო კაპიტალი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს და არც განიხილავს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებით სარგებლობას.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

29. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	2023	2022
საქონლის/მომსახურების რეალიზაცია	2,208,667	4,441,527
საქონლის/მომსახურების შესყიდვა	1,978,191	760
ნაშთები	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,668,830	292,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,769,966	153,141

30. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

31. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი:

აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2023წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

30. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

31. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 19 ივლისს.

დირექტორი:

აკაკი ჯიქია

